

განუელ ლაზარები, პეტერების სახე
(ესპანეთი)

სამსახიორისი გუდასტვირი ცერალეს კულტურაში:
4000 წლის მრავალემიანობა ხმელთაშუა ზღვის პარჩავიაში (სარაინი)

ლაუნედასი (Launeddas). დაკარგული მრავალხმიანი საკრავი

ლაუნედასი არის ტრადიციული საკრავი, რომელიც შედგება სამმაგი სტვირისაგან. გუდასტვირის მსგავსად, ამ საკრავზეც ერთი სტვირი გამოიყენება ბურდონული ბანის, ხოლო ორი მელოდიური ხაზისთვის. სინამდვილეში, ორივე ინსტრუმენტი, ძირითადად, ანალოგიურად ფუნქციონირებს, პირველი — მუდმივი ცირკულარული ჩაბერვით, ხოლო მეორე — გუდაში არსებული ჰაერის მარაგის საშუალებით. გასაკვირია, რომ ევროპის ისტორიაში საკრავის უძველესი ფესვების მიუხედავად, ლაუნედასმა მუსიკოლოგიის დისციპლინის მხრიდან ძალიან მცირე ყურადღება მიიპყრო.

ამ საკრავის არსებობის უძველესი დასტურია ძვ.წ. VIII საუკუნის ბრინჯაოს ითი-ფალური ქანდაკება, რომელიც აღმოჩენილ იქნა იტიროში, სარდინია (L1; სურათი 1): ამ კარაა, რომ დამოუკიდებელი სტვირი მარჯვენა ხელში, ხოლო ორი მიერთებული სტვირი მარცხენაში უნდა დავიჭიროთ. კუნძულის დღევანდელ ტრადიციულ კულტურაში საკრავი ზუსტად ასე გამოიყენება. იტირული ლაუნედასი ევროპული მრავალხმიანობის ყველაზე ძველი ცნობილი იკონოგრაფიული წყაროა. როგორც ვიცით, ეს საკრავი იყო ნურაგიული კულტურის განუყოფელი ნაწილი. მისი არსებობის მტკიცება შეგვიძლია, ძვ.წ. მეორე ათასწლეულების დასაწყისიდან მაინც.

ამასთან, იგი სარდინიული მუსიკალური კულტურის ნაწილია, უფრო ადრეული დროიდან, ვიდრე ქალაქი რომი დაარსდებოდა და დღემდე სარდინიული კულტურის საუკეთესო სიმბოლოა. ის იქცა უნიკალურ და გამაოცებელ შემთხვევად უძველეს მულტიფონურ (მრავალხმიან) საკრავთა შორის, რადგან მასზე არ არსებობს წერილობითი დასტური, მოგვეპოვება მხოლოდ 14 იკონოგრაფიული წყარო.

იტირის ფიგურის გარდა, დანარჩენი ცამეტი კელავ ჩნდება პიქტი¹ და ირლანდიელი ბერების ქრისტიანულ ჯვრებსა და რუნულ წარწერებზე ახ. წ. მე-9 საუკუნის და ქრისტიანულ კოდექსებში ამ ათასწლეულის შემდეგ, მაგრამ არცერთი მათგანი არაა უგვიანეს მე-13 საუკუნის შუა ხანებისა².

ამის შემდეგ კვალი იკარგება ჩვენს დღევანდელობამდე (Brown, 2006: 43-45; Brown, 2007; Lafarga & Sanz, 2016b: 8-38). ასე რომ, ამ ინსტრუმენტთან დაკავშირებით ხანგრძლივი დუმილია. ამასთან, რომაული სარკოფაგების შესახებ ახლად აღმოჩენილი პრე-კონსტანტინესული წყაროები არის ერთადერთი ჩვენამდე მოღწეული მტკიცებულება 1500 წელზე მეტი ხნის განმავლობაში (Ficoroni, 1709; Lafarga, 2016b).

ნურალე: ათასწლეულის კულტურა

არქეოლოგიური მტკიცებულებების თანახმად, სარდინიაში ადამიანის წინაპრები ცხოვრობდნენ მინიმუმ 450 000 წლის წინ, თუმცა, როგორც ჩანს, პირველი ნამდვილი

¹ სალხი, რომელიც ცხოვრობდა ჩგვიან ანტიკურ და ადრეულ ქრისტიანულ ხანაში, ახლანდელ ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ ქოტლანდიაში. როგორც ვარაუდობენ, პიქტური ენა კავშირში იყო ბრიტანულთან (რედ.).

² იხ. ცხრილი დანართში.

კოლონიზატორი იყო ერთგვარი პომინიდი 250 000 წლის წინ³. ის, ალბათ, გარკვეული ტიპის პრე-ნეანდერტალი იყო, რომლისგანაც ჩვენ მხოლოდ ერთი ფალანგი გვაქვს (კერემულის მიდამოებიდან) და რომელსაც პალეონთოლოგებმა „ნურ“ უწოდეს.

ეს ლექსიკური ფუძე სახელს აძლევს აგრეთვე კუნძულზე მცხოვრებ ხალხს და მის კულტურას ბოლო ათასწლეულიდან დღემდე: ნურალიული კულტურა (ნურალიდან, ნურიული კოშკებიდან). სარდინის ჩრდილოეთი და ცენტრალური რეგიონები ისტორიულად და კულტურულად ყველაზე იზოლირებული ტერიტორიებია იტალიაში და, აგრეთვე, ევროპის ერთ-ერთი ყველაზე ნაკლებად დასახლებული რეგიონია. მათი ტრადიციები, ენები და ფოლკლორი, იზოლაციის გამო, ბევრად უკეთ არის დაცული, ვიდრე ხმელთაშუაზღვის სხვა კუნძულებისა..

ამ მთიან ქვეყანაში რომაელთა ყოფნა მხოლოდ ნომინალური იყო. ციცერონმა (ძვ. წ. 106-43 წე.) დაარქება მას „ბარბაჯი“ — სიტყვა სიტყვით — „ისინი, ვინც ჩვენს ენაზე არ ლაპარაკობენ“, ეტიმოლოგიური ფუძით “stutterer” (ნაბორძიკებით საუბარი). ეს ხალხი რომაელებისათვის ცნობილი იყო, აგრეთვე, გამონათქვამებით *latrones mastrucati* — „ქურდები მატყლის უხეში სამოსით“.

ნურალის კულტურა მოიცავს პერიოდს ჩვენს წელთაღრიცხვამდე 2000-დან 200 წლამდე (Melis, 2003). ჩვენი ინფორმაციით, მათ არ ჰქონდათ დამწერლობა და ისინი არასდროს გამოსახვდნენ კედლებზე სიმბოლოებს. ჩვენ მათი კულტურის შესახებ მხოლოდ არქეოლოგიური და იკონოგრაფიული ტიპის ინფორმაციას ვფლობთ. ამისდა მიუხედავად, 10000-ზე მეტიდან მხოლოდ 7000-ზე მეტი ადგილია, რომლებიც შესაძლოა ამ პერიოდს განეკუთვნებოდეს, თუმცა მეცნიერულად მხოლოდ რამდენიმეა გითხვილი და შესწავლილი.

ბევრი მათგანი წარმოდგენილია მხოლოდ ერთი კოშკით, ზოგი მოიცავს რამდენიმე კოშკს კედლებით. უფრო რთული, თუმცა ნაკლებად ხშირია სტრუქტურები, რომლებიც აგებულია დიდი რაოდენობით კოშკებით, მათ გარშემო კედლის სისტემითურთ: მათ ნურაგიულ სამეფო სასახლეებს უწოდებენ.

ამასთან, არ არსებობს კონსენსუსი იმის თაობაზე, თუ რა ფუნქცია ჰქონდა ამ სტრუქტურებს, რომელთა ზომა არ არის დაკავშირებული მათ გარშემო მობინადრეთა განსახლების სიმჭიდროვესთან.

იქნებ ეს იყო წმინდა ან შეხვედრების ადგილები, ხელისუფლების სპეციალური ოთახები, ან სამხედრო, ან სტრატეგიული წერტილები. ასევე არ არის გამორიცხული, რომ ისინი ამ ფუნქციების ნაზავი ყოფილიყო. ეს შენობები არ უკავშირდება სხვა მედიტერანულ არქიტექტურულ ან მხატვრულ ტრადიციებს, გარდა კორსიკული ტორისა (კოშკი)და ბალეარის კუნძულების⁴ ტალაიორტებისა⁵.

სარდინიული ენა უძველესი ლათინური უახლოესი უძველესი გადარჩენილი ენაა. გარდა ამისა, მათი დიალექტები ასევე შეიცავს პალეო-სარდინიანულ ან ნურაგიულ სუბსტრატს (ტოპონიმებისა და მიკროტოპონიმების სახით), რომლებიც შესაძლოა დაკავშირებული იყოს ინდოევროპული ან კიდევ წინანდოევროპული წარმოშობის სხვა ძველი ხალხის იდიომებთან: ეტრუსკები, ილირიელები, პროტო-ბასკები და ესპანეთის სხვა პრე-იბერიული ხალხები (Blasco, 2010: 161-162). ეს განსაკუთრებით ეხება კუნძულის ცენტრალურ რეგიონს, ბარბაჯისა და აღმოსავლეთ ოლიასტრას (Aredú, 2007).

³ სარდინია და კორსიკა ამ პომინიდებს გამყინვარებას დასასრულისკენ შეუერთდნენ, როდესაც ზღვის დონე მართლაც დაბალი იყო.

⁴ არქიპელაგი იბერიის ნახევარკუნძულის აღმოსავლეთ სანაპიროზე (რედ.).

⁵ რინჯაოს ეპოქის მეგალითები (რედ.).

იტირის ქანდაკება⁶: ნურაგიული ლაუნედას შემსრულებელი

სარდინიული ბრინჯაოს ქანდაკებები დასავლეთის ხელოვნების ისტორიის ლიტერატურაში 1763 წელს შემოვიდა მიმოქცევაში, როდესაც ვინკელმანი, თანამედროვე არქეოლოგიის მამა (Winckelmann, 1768), ენვია რომში კირკერიანის მუზეუმში: რადგან ვინკელმანი კლასიკური სამყაროს კანონიკურ მახასიათებლების მიმდევარი იყო, მან იქ დაცულ ოთხ ფიგურას უწოდა „სრულად ბარბაროსული“ (Lilliu, 2008; Lilliu, 1966: 8). მომდევნო ორი საუკუნის განმავლობაში ამ მნიონ ნიმუშებს სხვა 400 ცალი დაემატა, როგორც აკადემიური გათხრების შედეგად, ასევე ჩვეულებრივ ნაპოენი არტეფაქტებიდან. მათი უმეტესობა რომაული ბარბაჯიადან (სარდინია) იყო.

XIX საუკუნის განმავლობაში მრავალი გაყალბება მოხდა, რამაც სხვადასხვა თეორიასთან დაკავშირებული მრავალი დებატი წარმოშვა, ნიმუშების ყოველგვარი მკაფიო კლასიფიკირების გარეშე. მხოლოდ 1949 წელს ვენეციაში, სან-მარკოს ახალ პროკურატურაში, საერთაშორისო აუდიტორიის წინაშე პირველად წარდგენილ იქნა ამ სარწმუნო წყაროებიდან 60 ექსპონატი. გამოფენა იმდენად წარმატებული იყო, რომ მოგვიანებით განმეორდა დასავლეთ ევროპის ქვეყნები⁷.

ყველა ამ დასკვნის ამომწურავი მიმოხილვა წარმოდგენილი იყო ჯოვანი ლილიუს⁸ ნაშრომში ჯერ ვენეციური ექსპონიციის კატალოგის მომზადების დროს, შემდეგ კი 1956 წელს, როდესაც აღმოჩენილი ფიგურების რაოდენობა თავდაპირველი 60 ფიგურიდან 144-მდე გაიზარდა. გაფართოებული მეორე გამოცემა — *Sculpture della Sardegna Nuragica* (Lilliu, 1956) — კიდევ უფრო გაფართოვდა 1966 წელს საბოლოო, მესამე გამოცემაში, სადაც თითქმის 400 ნურაგიული ობიექტი იყო განხილული (Lilliu, 1966, 2008).

ამ ნაშრომში წარმოდგენილი 370 ფიგურიდან სამოცდათოხმეტს არ გააჩნია ტოპოგრაფიული მონაცემები, მაშინ როცა 276 წარმოშვა ჯამში 95 ადგილიდან, აქედან: ორისტანო (24), კალიარი (27), სასარი (56) და ნუორო (169). ამ ადგილების უმეტესობა ბარბაჯიას რეგიონს ეკუთვნის. მათგან 184 ადამიანის ფიგურა (158 კაცი და 26 ქალი), 63 ნაცი (20 მათგანი ფრაგმენტული)¹⁰, ხოლო 67 ცხოველია — 26 მსხვილფეხა რქისანი ცხოველი, 10 თხა, 13 ირემი, 6 გარეული ლორი, 2 მელა, 2 ძალლი, 7 ჩიტი და 1 მაიმუნი.

ადამიანის ფიგურები წარმოადგენენ მეორებს (53), მშვილდოსნებს (26) და სხვა პერსონაჟებს იარაღით, რომელიც სოციალური სტატუსის სიმბოლოებია (10), ზოგი, ალბათ, საკრალური ან რიტუალური ხასიათისა (მღვდელი და მღვდელი, ან ჯადოქსრი), ორი მოკრივე, ზოგიერთი მწყემსი და სხვები, უფრო მოკრძალებულ პირები, რომლებსაც შინაური იარაღები ან ცხოველები უჭირავთ, თუნდაც ერთი მათგანი ყავარჯინით, ხოლო მეორე — გადახვეული ხელით (Lilliu, 2008: 71).

დღევანდელობაში აღდგენილი მთლიანი ნაკრებიდან მხოლოდ ორი მუსიკოსია: *corru-ზე* (რქა) და სამმაგ გუდასტვირზე შემსრულებელი¹¹. ეს ქანდაკება (სურათი 1) აღმოაჩინეს იტირიში და იგი თარიღდება ძვ. წ. VIII საუკუნით, რომის დაარსების დროიდან.

⁶ *Itiri Cannedu*, სარდინიულ ენაზე.

⁷ ამჟამად პრეისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი “L. Pigorini”.

⁸ რომი, ფლორენცია, ცეურიხი, ბრიუსელი, პააგა, ამსტერდამი, პარიზი, ლიონი, ანტიბი, კემბრიჯი, ოქსფორდი, ლონდონი, პამბურგი და მილანი.

⁹ (ბარუმინი, 1914 — კალიარი, 2012).

¹⁰ ამ პატარა გემების რაოდენობა 1994 წელს 108-მდე გაიზარდა. ლილიუ (2008, გვ. 25).

¹¹ ლილიუს ნაშრომში ნუმერაციით 182 და 183 (2008, გვ. 375-380).

სარდინია და კორსიკა: 4000 წლის მრავალხმიანობა?

ქრისტიანობამდე მრავალი საუკუნით ადრე, სარდინიაზე, ალბათ, სასიმღერო ტრადიციები ყვაოდა, რასაც მათი ინსტრუმენტული პრაქტიკა მოწმობს. ჩვენს დროში სარდინიაში არსებობს ინსტრუმენტული მრავალხმიანობის რვა სხვადასხვა სტილი. ისინი სრულდება კოლექტიური პრაქტიკის ფარგლებში, რომელსაც *cunserus* ეწოდება. თითოეულს აქეს თავისი დამახასიათებელი ყდერადობა და რეპერტუარი, რომელსაც შეიძლება მიმართავდეს რამდენიმე ან ყველა შემსრულებელი, რომლებიც უკრავენ ნებისმიერ ტონალობაში, კვინტის დიაპაზონში.

ყველაზე ფართოდ გავრცელებული ტექნიკა ეფუძნება რამდენიმე მელოდიის ხანგრძლივ ვარიაციებს, სადაც ერთი სიმღერა შეიძლება საათზე მეტხანს გაგრძელდეს. მარტივად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ მსგავსი საშემსრულებლო პრაქტიკა სარდინისა და ხმელთაშუა ზღვის უძველეს პოპულაციებში, ვოკალური და ინსტრუმენტული, მათ შორის ბერძნებისა და რომაელების ძვ. წ. მე-5 საუკუნის დასაწყისამდე (Lafarga, 2017). ფაქტია, სარდინიული და მეზობელი კორსიკული ვოკალური მრავალხმიანობა ყველაზე განვითარებულია ბალკანეთსა და ხმელთაშუა ზღვისპირეთში.

სარდინიულმა პოლიფონიურმა სიმღერის სტილმა საერთაშორისო აღიარება მიიღო იუნესკოსგან 2000 წელს (Macchiarella, 1990; Jordania, 2006: 135-140). მწყემსთა შორის გავრცელებული ოთხხმიანი შესრულება ცნობილია ტენორეს სახელით. ჰარმონია ძირითადად ემყარება პირველი საფეხურის მაურიულ სამხმოვანებას, უფრო მაღალი ხმები მოძრაობენ ტენორის ინტერვალის ვიწრო დიაპაზონში, იყენებენ ცხვირისმიერ ბგერებსა და დაძაბულ ტემპერს, ხმირია სეკუნდური დისონანსები, რომლებიც წარმოიქმნება მელოდიური მოძრაობით სტატიკური სამხმოვანებების საპირისპიროდ. კონკრეტული გლოსოლალიები ხშირად გამოიყენება ტემპრული ეფექტის გასაძლიერებლად.

კუნძულის ჩრდილოეთ ნაწილში რელიგიური მრავალხმიანობის მამაკაცთა ოთხმიანი პრაქტიკა არსებობს, რომელიც თან ახლავს კათოლიკურ რიტუალს. ყველა ხმას ერთი სახელი აქვს, გარდა ყველაზე მაღალი ხმისა — *falzittu* (ალასანიშნავია, რომ ეს ხმა „ფალცეტით“ არ ძლერის). საგალობლებისათვის დამახასიათებელია მოუმზადებელი მოდულაციები, შედარებით თავისუფალი მეტრო-რიტმი და ძალიან ორნამენტული მელოდიები (Jordania, 2006: 135-140).

სარდინის სამხრეთში (Jordania, 2015: 84), არ არის მრავალხმიანი მღერის ტრადიცია, ხოლო ცნობილი სამსტევირიანი გუდასტვირი ან ლაუნედასი, რომლებიც მათი მდიდარი მუსიკალური ტრადიციების საუკეთესო სიმბოლოა, ცენტრალურ რეგიონში იქნა აღმოჩენილი.

დასკვნები: ლაუნედასი ათასწლეულების მანძილზე

იტირელ შემსრულებელზე დაყრდნობით, რომელიც ჩვენ უკვე წარვადგინეთ თბილისში ორ საერთაშორისო ფორმუმზე (Lafarga & Sanz 2018; Sanz 2017), ასევე, სხვა სპეციალიზებულ პუბლიკაციებში (Lafarga, Llimerá, & Sanz, 2016a: 27-5; Lafarga 2016b.), შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ნურაგიელი ხალხი, რომლებიც ძვ.წ. II ათასწლეულიდან სახლობენ სარდინიაში, შეიძლება მრავალხმიანდ მოაზროვნები ყოფილიყვნენ, როგორც ვოკალური, ასევე, ინსტრუმენტული ტრადიციით (Jordania, 2006: 266-8; Nikoladze, 1986; Nikoladze, 2003). პრაქტიკულად შეუძლებელია მრავალხმიანობის ტრადიციების ორივე მოდელის გათვალისწინება ერთმანეთისგან დამოუკიდებლად, რადგან მრავალხმიანი ინსტრუმენტები ვოკალური მრავალხმიანობის არსებობის მტკიცებულებაა, როგორც ეს უკვე ვაჩვენეთ ჩვენს წინა კვლევებში (Lafarga, 2017).

ჩვენს დრომდე, იტირელი შემსრულებლის გარდა, აღარ არსებობდა სხვა მტკიცე-

ბულება 1500 წლის განმავლობაში, ახ.ნ. X საუკუნემდე¹², როდესაც ჩრდილოეთ ევროპა-ში ლაუნედასი კვლავ გამოჩნდა ქრისტიანი პიქტი ბერების ჯვრებზე.

ამასთან, ფიკორონის (Ficoroni, 1747) მიერ მე-18 საუკუნის დასაწყისში აღმოჩენილი მანამდე უცნობი წყარო საშუალებას გვაძლევს დავადასტუროთ ლაუნედასის არსებობა კლასიკურ სამყაროში კონსტანტინეს (Ficoroni, 1709; Lafarga *et al* (2016b) დროზე ადრე-ეს სამსტკირიან გუდასტკირზე შემსრულებელი ამოჩეუქურთმებული იყო რომაულ სარ-კოფაგზე, რომელიც აღმოჩენილ იქნა რომში, პრენესტინას ქუჩის მახლობლად და დაბ-რუნებულ იქნა ცნობილი რომაული ანტიკვარის მიერ. იგი ამჟამად ვატიკანის მუზეუმში (Bielefeld, 1997) ინახება და თარიღდება 240 წლით.

როგორც ჩანს, ბუნებრივია იმის მტკიცება, რომ ეს საკრავი რომაულ ხალხში იყო გავრცელებული იტირის ძეგლიდან 1000 წლის შემდეგ და შოტლანდიაში პირველი ქრის-ტიანული ჯვრების გამოჩენამდე 600 წლით ადრე.

შეჯამებისთვის, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს სამი ფაქტის შეიძლება უკავშირდებოდეს ჩვენს ვარაუდებს:

- ა) საკრავი წარმოიშვა პრე-რომაული სარდინიდან;
- ბ) საკრავი ცნობილი იყო რომაული საზოგადოებისთვის (Lafarga *et al* (2016b) და
- გ) მისი შემდგომი არსებობა ჩრდილოეთ ევროპაში ქრისტიან ბერებს შორის შეიძლე-ბა დაკავშირებული იყოს რომაულთა სავაჭრო ან/და სამხედრო გზებთან¹³.

თარგმნა ბაია უუუუნაძემ

¹² კანტიგას დე სანტა მარიადან (XIII საუკუნე) მოყოლებული საბოლოოდ ქრება იკონოგრაფიული რე-ესტრიდან ჩვენს დრომდე. ლაფარგა და სხვები (2016b). იხილეთ ცხრილი. აგრეთვე ბერძნული და რო-მაული გუდასტკორების ამომწურავი მიმოხილვისთვის იხილეთ აგრეთვე, ლაფარგა და სხვები (2016a).

¹³ ასევე შემოთავაზებული ბრაუნის მიერ (2006; 2007). აგრეთვე <http://www.youtube.com/launeddas>, არხი, რომელიც ეკუთვნის პიტანო პერას, სპეციალურად იტირის ქანდაკებისთვის.